



პლაკატი ნოდარ მაღაზონიასი

ISSN 0132-6015

ნუსხები

5

მ ა რ ტ ი
1987

ქლევაი საკვირველი!..

თეთრი დუმილი ჩამოწვა საქართველოს მთებში, ცა დაბლა დაქანდა და, ჰა, ერო თარგამოსიანო, კიდევ ერთხელ დაგიდგა გამოცდის უამი!..

მღვრიე ნაკადები ცოფიანი მონგოლებივით ეძგერნენ კოლხურ სოფლებს, თავისუფალ სვანეთშიც თეთრი დევი გაბატონდა და სარკად ადამიანთა სიცოცხლე მოითხოვა!..

რამ განარისხა ზეცის სამეფო? — რიცხვბრავლობამ ჩვენი ხალხისამ თუ ქართული აკვნების სიმრავლემ? და ახლა, როცა დათბა და ზამთარს ცალი წინდალა აცვია, ისევ გვემუქრება წყალდიდობის მაღალმუნელიანი ტალღა, ზვავთა ლაშქრობა და განსაცდელი!..

ქართულო მზეო, ჩვენი ისტორიის დედავ და პატრონო, დიდო წარმართო, თბილი ღიმილით ნელა დაადნე თოვლის მთები, ნულარ შემოუშვებ რიონში იაზონს ოქროს

საწმისის მოსატაცებლად, ნუ დაჰკიდებ ქართულ ვაზზე ცრემლის მტევანს, ნულარ ვაგვაგონებ წინაპართა საფლავებიდან ამოვარდნილ ვმინვას!..

დღეს ქართველი კაცის ქორივით წამოფრენილი მზერა იქით არის მიმართული, სადაც ჩვენი ეროვნული ძვლისა და სულის ნაჭვედი სიმტკიცე იცდება, სადაც მკლავზე გადავიგრიხეთ განრისხებული რიონი, ცხენისწყალი თუ კოდორი!..

ნუ ბორგავ, გელათის კურთხეულ მიწაში, დავით! — შენმა ერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უკვდავების ღვიძლი შვილია და ალალია მისთვის შენს საფლავზე დადგმული მსუბუქი ნაბიჯი!..

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

რამდენი ომი, რამდენი ცინე-ტაძარი დაიტია ჩვენმა მხარ-ბუკმა... რა ძალა დაამარცხებს ერს, რომელსაც ისტორიის უღრანში ჩვილი მზე ეწევინა მკლავებზე, რომლის წარბების მშვილდი და ნებისყოფის გრდელიც სიამაყით აუხებს დრო-ყამს!..

არასოდეს ყოფილა ჩვენი ხალხი ასე ძლიერი, დღეს რომ არის! — როცა კოლხური „იავნანა“ წყალთა სიმარტელეში იხრჩობოდა, როცა სვასური „ლილო“ ზეჯვრის წინ ამაყად აღუდგა. ჩვენი დიდი ქვეყანა იქ იყო, რათა ჩვენი ცრემლი გაეყო, ჩვენს რწმუნას ბურჯებდა შეს-დგომოდა!

ჭეშმარიტად უძლეველია ხალხთა მეგობრობა! რაპი მამედოვო, ოცი წლის ლამაზო ბიჭო, ნიზამის ლეჩხვიით დასრულდა შენი სიცოცხლე!.. ეს რა ანაზღად მოვიტაცა უკვდავ-ბაში? ეს რა მალამოდ დაედებ ქართული მიწის იარას?! მოვალეთ შენს საფლავზე და მშრალ ცრემლებად მოვამბევთ ერთ მუჯა ქართულ მიწას!..

მალე ძალაში შევა ქართული გაზაფხული და მოგიტანს ჩვენს მთა-ველზე ამომზევებულ პირველ ყვავილს!.. ამას ბრძანებს საქართველო!

გმირებად არ იბადებიან, გმირები ხდებიან... მართლაც, სულის როგორი ურჩობა, ნებისყოფის როგორი სიჯი-უტე უჩვენეს ცნობისმოყვარე ბუნების უშპისა და თეთნულდის შეი-ლეშმა, ჩვენმა კოლხებმა! — მწუხარებად ვერ ჩაუქრო თვალთა ცეც-ხლი, ტანი თოვლი და წყალი ეცვათ, მაგრამ საკუთარი მეკრძები დახანდედეს გვებრებად სტიქიას და ყველა კამხალზე მტკიცე აღ-მონჩდა ეს თავგანწირვა!

რას დარატევე, ჩემო ხალხო, იმ ვაჟაკს, ვინც საკუთარი ტრავე-დით დაზაფრული, სხვისი ოჯახის, სხვისი დედის და შვილის გა-დასარჩენად წყლის ზნელ მორევში ებრძვის პოსეიდონის უთვალავ მხედრიონს, შავი მანტიით მოვარდნილ სიკვდილს?!

ის გმირია, მამულიშვილი, და ბრინჯაოს რომელი კვარცხლბეგი არ ინატრებს მას?! შემატანავ, ვაშლზე ეტრატე და მომავალს შეუ-ნახე მათი სახელები, დაე, იცოდეს შთამომავლობამ, რომ ჩვენც გვილოკავს ცხელი ვნით საქართველოს ჭრილობები და ლომთამთი-დან ისევ ისმის ალგეთს დაზრდილი მგლის ლეკვების ყმბილი!..

გინაროდეს, საქართველო!

ვერ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, რადგან დიადმა ძმობამ ძლიერი-დან უძლეველი გაგვსადა! — სად უნდა შედო კარი, ქართველო, ჩე-ვი უვრცელესი ქვეყნის რომელ კუთხეში, რომ გულში ჩასაქარავდ გამოწვილი ხელებს არ წააწყდებ! ასეთია ჩვენი ცხოვრების წესი, ჩვენი ყოველდღიურობა და უწყვეტ ნაკადად სვავდება დახმარების ფონდში მშური სიყვარულით გამოვზავნილი, ალალი გულით გა-მოწვილი თანხა და ბევრი, ბევრი სხვა რამეც!..

„ჩამოვალთ, გიშველით!“ — იუწყებიან ტელეგრაფები და ზესკნელ-თან ერთად ქვესკნელიც რომ წინ მტრად დაგვიდგეს, ვერაფერი გაწ-ყვეტს ერთმანეთზე გადაბმული მკლავების ჯაჭვს!..

...ქედანივით ზის შედამბა ქვემო ქართლის მიწაზე. თავშიშველი მთები ელოდებიან აქ ჩამოსახლებულ სვანებს. ამ მიწას ბევრი ახ-სოვს, ბევრჯერ შესვია ჭილყვაი მტრისგან დაცლილ სამოსახლოებს, მეძუძური ქალივით ბარაქთან ველ-მინდორს, მაგრამ ისევ იბარტყა ქართულმა გენმა, ისევ ბოლავს იმერული ბუსარი, ისევ აღდგა ძველი ჩამარჩევი, ისევ ფეხმძიმობს ბოლნური ვაზი და ისევ ბუდობენ შე-ვარდნები დამანისის კლდეებში!..

ალალი იყოს თქვენთვის სულხან-საბას ნალოცი მიწა, ძმებო! ალალი იყოს, რადგან ბევრჯერ დამთვრალა აქ მტერი ქართველის სისხლით და ყველა თემურლენგის, ყველა ალა-მამაშადის ჯიხაზე მკვიდრად გასჭირით სვანური ბალავარი, ხელი აუქნიეთ და არე-ვივით წამოაფრინეთ „ლილო“, მშობლიური კომპოზიციით მოეფინეთ აქ ტანჯულ მიწას!.. დაე, სვანურმა „იავნანამ“ მერცხალივით მო-იაროს კუთხე-კუნჭული და სვანური მრავალშვილიანობით დაამშვენე-ბუდობს, ამაყად გვევლით!.. რა თქმა უნდა, დიდი გულისტემა შეე-ვდებთ, ცრემლდღიობა, ტანჯვა და გასაჭირი! გეოჯირდა იმის წარ-მადგენა, რომ თითქოს უღამაზეს, ფართო გობელანზე ჩახატული ჭალადიდი წყლის ფსკერად იქცა, რომ წითელი მამალივით აღარ იქნდა მეგრულ ბუნებში კერის ცეცხლი, მაგრამ ჩვენ ისტორიამ გვასწავლა ჭირთა თმენა და უიკდურესი განსაცდელის ვამსაც არ წამოგვადენია მზის საწყვარი! — ამ ოპტიმიზმმა მოგვიყვანა დღემ-დე და ვერც ახლა გადავდგები რჯულიდან! — გავა დრო, კვლავ იფიქრებთ სიცოცხლე ქველ კარ-მიდამოზე, მზე ჩამოივლის კარ-ილაკა და „ოდოია“ ააშრიალეებს სიმინდის ყანებს, დილასავით დაი-ბადება ამ წარღვნის შემდეგ პირველი ბავშვი, ამოხეთქს ბალახი და ქართული ოჯახი — აუღებელი გოდოლი ჩვენი ვროცხული ისტო-რიისა — კვლავ შეუდგება წუთისოფლის გრძელსა და უსასრულო გზას!.. მაშ, თავი მალა, ძმებო და დებო, ჩვენი სმატკბილო, ხალი-სინაო, სტუმართმოყვარე კოლხებო!.. არა, ბუნებო, ვერ წააქცევ ქართველ კაცს, ძირს ისე ვერ დასცემ, არ წამოგდეს, წელში არ გა-იშლოს და მომავალს მაინც დიმილით არ გაასწოდოს! ასეთი დუღა-ბით ვართ ნაგები და ნაშენები და ამ დუღაბის დეკვამ ჩაუბტვრია ყბა და კბილი ყველას, ვინც ჩვენი ამოცემდა მოინდობა!

დიან, იმ უბედურების დღეებში ერთ გაუბტხელ კონად შეიკრა დიდი და პატარა — მთავრობის წევრიდან დაწყებული სკოლის მოს-წავლემდე! ერთი სუნთქვით ცხოვრობდით და ვერცხვობდით, თავს არავინ მოგავდა და ეს სახესობი გასაგები იყო!.. ფოლადის ფრთები დაევიწყეთ ჩვენს შევარდნებს, რომლებიც მრისხანედ წამომართული, თუთრანბდიანი მთების საუფლოში ირავს ჰკრავდნენ და ადამიანთა

სიცოცხლეს სტაცებდნენ მშიერ თოვლს!.. ხალხის სიყვარული და მადლობა ყველა შევარდნისა და უმიზარი მიზნის, ყველა პორტო-ნათუნაძის უშალდნისა ჯილდო!.. ბედნიერია ქვეყანა, ვისაც ასეთი შვილები ჰყავს!.. ასეთები ვართ და ასეთები ვიქნებით!..

ჭეშმარიტად უსაზღვროა ადამიანური კეთილშობილება!.. იმ ძაღლ-ვარე დღეებში ერთ ახალგაზრდა ოჯახს შეესვდი (რას ქარტი) დედ-მამას — რაიკომის მდივნისთვის გასავლელი გზა აღარ მიუცათ: უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი გვიდა ვიშვილოთ, გავზარდოთ და დაეფრთხანოთ! რა ჯენათ, რომ ასეთი სურვილი მეგობრ ვაქცეს! ყველა ქართველის მაგივრად მოკრძალებით ვეამბოვო ამ ქართველ მშველელსანს ხელზე!.. ასე ვემთხვეოდით ხოლმე დროშის კალთას, როცა ჯაჭვის პერანგს ვიცვამდით, რათა ბასიანზე საქართველოს მტრისთვის შევ წყალში ათქვეფილი სალაფავი მიგვედგა!..

აბა, რა მოკლავს ნუგეშს, როცა ხედავ, როგორ გიდგანს მხარში ხალხი, პარტია და მთავრობა! ამ გასაჭირის ვამს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ როგორი ფოლადია ჩაწული ქართველი კაცის ხასია-რში, ადამიანური ზნეობის რა მწვერვალზეა აწვდილი ამ უწმინდეს რწმენაში, ინტერნაციონალიზმს რომ ვუწოდებთ! ამაზეა დამყნელი ჩვენი მომავალი და არ არის ძალა, რომელსაც მისი შეცვლა შეეძ-ლოს!

თვალზე მწუხარებისა და სინარულის ცრემლმომდგარი ვკითხუ-ლობდი, თუ როგორ შეაგროვეს საბავშვო ბაღის პატარებმა საერთო ყულაბაში 20-20 კაბიკი, რათა თავმოყრილი თანხით ხანუქრები და-ეხვედრებინათ თავიანთი თანატოლებისათვის! არა, ეს უფროების კარნახით არ მომხდარა! — პატარა გულბების ეს სითბო ყალიბებს მომავალ, ჭეშმარიტ ადამიანს, ვისთვისაც ცხოვრება სხვისი ტკივი-ლის საკუთარ უბეში შენახვა, მოყვასისათვის თავდადებაა და არა მარტოსულის მარტვილობა!

მართლაც, გასაჭირის დროს ვლინდება, ვინ ხარ, რა სული ბრუ-ნავს შენს სხეულში, — შუბლზე მზის მირონი გაცხნა, თუ უკაცურო-ბის ლეროსი და მური!.. მართლა ხალხისა ხარ, თუ ხალხს ატყუებ შენი თანამედრობით, სკამით, მდგომარეობით!..

ვინ, თუ არა იმას, ვინც პირველი უჩვენებდა ხალხს თავგანწირვის, გამმედობის მაგალითს, ეკუთვნის სამშობლოს მადლობა?! — ყველა პარტიულ, სამჭოთა ორგანოს, მათ თავგაცემს! დაე, მუდამ ადგეს მათ პირველწყობას მამულიშვილობის მარაგადევი!

ამ რამდენიმე დღის წინ ჩამოვიარე სამეგრელოს სანახები. უკვე თეთრი პერანგები ეცვათ ნუშსა და ტყეშბოს, ცისფერი თვალბით იმზირებოდა მიმოზა!.. ლოყაზე გრძობ მზის ცხელ კონცხს და არა გჯერა, თუ ამ თბილი ზეჯვარით გაცოცხლებულ ველ-მინდორში სტიქია თხრიდა ქართული კერის ფუძეს და ლბობს, მალალი ხეები წყალში იხრჩობდნენ და კალაპოტიდან ამომხტარი რიონი ბელაქნე-ლი ლეკვიით არბევდა ქართველი კაცის სახლ-კარს!.. ერთ-ერთი ოდიდან ისმოდა ოდიშური „ნანა“. თვლი შევაველე აივანზე გამოდ-გემულ აკვანს — შიგ საქართველოს მომავალი იწვა და აფხვლებდა ბუდეშორ წამსაშებს, ტუნებზე დედის რძის ცვარი შერჩნობდა!.. იყოს ასე, ლეკვდნასავით დარჩეს ჩვენს შთამომავლობას, თუ იმ ბიბლიუ-რი წყალდიდობისას როგორ მოიტაცა ტალღამ საძილად ჩაქრული ყრმა, მაგრამ ქართულმა აკვანმა არ დაანება სტიქიას პატარა სიცოც-ხლე, მანამდე იტივტივა, მანამდე ებრძოლა ჩქერალს, სანამ მადლი-ანმა მარჯვენამ სამშვიდობოს არ გაიყვანა!.. დიან, არავის დაუხვეია უკან ბუნების მრისხანების წინაშე! იმ შიშინაობაში დრო-შასავით ვვიძლოდა წინ იმედი, რომ ძველვედით ცისა და მი-წის მიქინვარებას! ვისაც მკლავი ერჩოდა, იქ იყო — კოლხეთის მრავალტანჯულ მიწასა და სვანეთში. არავის უძებნია მშვიდი ძილი, არავინ გამდგარა განზე! აი, თუნდაც ეს ახალგაზრდა კაცი — ვია-თლიბეგაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქარ-აული ლიტერატურის ისტორიის კათედრის თანამშრომელი! — გან-გამის ზარებმა ჩამოკრეს თუ არა, სვანეთში განჩნდა!.. გადასათოვლი სახლების ბუნებების ყელბოვიით ჩანდა სვანური კომეები, თოვლში ჩაფლული მთები თეთრი სვედით იყვნენ სვანენი, განიერ ჭრილობასავით დასტყობდა მიდამოს ზეჯვებით ჩამოსვეტილი და ჩამოწყვეტილი ადგილები!.. ზავი — ეს თეთრი ელდა უცნა და ჩა-ლიან, მოდის!.. ელვის სისწრაფით მოგორავს თოვლის მთა და ჩა-ლის ღერბითი ამტკრებს ასწლოვან ხეებს, თან მიაქვს ყველაფერი, რაც წინ დაუდგება!.. დიან, მიუხედავად ამისა, არ უმინდობდნენ საფრთხეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩასული მამულე-ნი, სამჭოთა მემორები! — ერთ ძალად შეიკრა ყველა მარჯვენა და აკი ბევრი სიცოცხლევ გამოპოკიჯეს ზეჯვას თუ ნაზუვარს!.. მარ-თალია, ბუნებამ არ დაგვიანდა, თოვლი და წყალდიდობა არ გვაკმა-თალია — უფსკრულბმეც ამოიხედა გახეთქილი მინიდან, მეწერის ციგმა რა — უფსკრულბმეც ამოიხედა გახეთქილი ქართველ კაცს, მაგრამ ვერ გატეხა მისი ნება, ვერ დაუხსნერია სვალის იმედი, ვერ დაიმორ-ჩილა!..

მალე მოიშუშებს ჭრილობებს საქართველო და კვლავ შეფრინდე-ბა ლობებუ მამალე, რომ უძველესი პიონი უძღვნას მზეს! ჩვენ უძლეველები ვართ, რადგან მტკიცე ძვლითა და სორცით ვუშენებთ ვართ უკვდავებს, რადგან ისტორიამ თავის ღვიძლ შვილ-ზედ მიგვიჩინა!..

ასეთია ჩვენი ხალხი, ჩვენი გაუბტხელი, ბრძენი ერი!

სარკამარტო წერილი მეუღლეს

შიშით ველარ ვკითხულობ
სასამართლო ქრონიკას,
ცნობა განქორწინების,
ვიცი, გულს რომ მომიკლავს!
ჩვენ კი ერთად ვიქნებით
თვით სამარის კარამდი,
ორად-ორი ოთახით,
მაცივრით და კარადით!
რაც მეუღლე დაგერქვა
და რაც უკვე ქმარი ვარ,
არაფერი გვქონია
მოტანილი ქარისა!
არ გვქონია არასდროს
ლუკმა თავზე საყარი,
შუმი პათიონებით
ზოგჯერ წყალსაც ვნაყავდით!
მაგრამ გვქონდა სხვა რწმენა,
სვე-ბედს აღარ ვემდურით,
და შემოვრჩით ბოლომდე
ერთმანეთის ერთგულნი...

არ ვარ მასტროიანი,
არც შენა ხარ ლორენი,
არ გვაქვს ნათამაშები
მათნაირი როლები!
არც მათსავით გავყრილვართ
იტალიურ-ფრანგულად,
არ გვქცევია გულები

ყინულად და ქვაგულად!
მე რას ვიტყვი იმნაირს,
ცოლ-ქმარზე რომ არ თქმულა
(შოდა, ერთხელ კინაღამ
გავეყარეთ ქართულად).
არსად არ დაგხვედრივარ
თოფითა და ბებუთით,
ოცდაათი წელია,
მეკუთვნი და გეკუთვნი!..

არ ვარ უერარ ფილიპი,
არ ხარ ლოლოზბრიჯიდა,
ერთმანეთთან სიცოცხლეს
არავინ არ გვისჯიდა!
თუმცა ბევრჯერ გვიმძიმდა,
კარგა ხანსაც გვიჭირდა,
მაგრამ რაგინდ უჭირდეთ,
შიოდეთ და სციოდეთ,
მოყვარული ცოლ-ქმარი
მოთავსდება ცივ ლოდზე!
რა გამოლევს ოჯახში


სამდურავს და თავსაცემს,
მაგრამ ენის აყოლა
არ სჩვევიათ ვაუკაცებს...



დღეს კი ისე მომრავლდნენ
ფუფუნების მონები,
სიწმინდემ და სიბილწემ
გადაცვალეს როლები!
ახლა განქორწინება
ისეთია მოდაში,
რომ არასდროს გვქონია
ჯილაგსა და მოდგმაში..
მასხოვს, როცა სატრფოებს
სიკვდილიც ვერ გაყრიდა,
დღეს კი თვით სიყვარულის
ხდება ყიდვა-გაყიდვა!
ქალი ეძებს შეძლებულ
საქმროს და მის სავარძელს
და სანამ აქვთ სახრავი,
სიყვარულიც მანამ ძლებს...

ჩვენ კი ღმერთმა გვაშოროს
გაყრა-განქორწინება,
სიკვდილამდე რომ დავრჩეთ
შეყვარებულ წყვილებად!..

გურამ კლდიაშვილი



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ოცდაათ კაბიკად მანქანა შოიგე და ერთი პურ-მარი-
ლი არ უნდა იკისრო?
— სექციონერმა, საწყობის გამგემ, დირექტორმა და
მოადგილემაც მოიგეს, მაგრამ...



თბილისელი კარგი მკვლელები

ფელეტონი

ძნელი და სადგენია, წაკითხული ჰქონდა თუ არა თბილისელ ქალბატონ ნელი ხმალამეს შექსპირის „ლედი მაკბეტის“ მისი ბოლო წლების ცხოვრება კი თითქმის ამ ტრაგედიის მიხედვით გათამაშდა...

თბილისელ ლედი მაკბეტს ერთობ უწყინარი და კეთილშობილური პროფესია ჰქონდა — ქალაქის 24-ე აფთიაქში ფარმაცევტად მუშაობდა და სულაც არ ამეღავენებდა რაიმე მიღრეკილებას სისხლიანი თავგადასავლებისადმი, მით უფრო, აზრადაც არ მოსვლია, რომ ნაჯახი მიეცა ხელში თავისი ქალური თილისმით თვალმახვეული მამაკაცისათვის და ასე გაეკაფა გზა დასახული ნიშნისაკენ. ან სხვა რა ფარული მიზანი უნდა ჰქონოდა ქმარშვილიან მანდილოსანს, თუ არა შვილების კარგად ყოფნა, ოჯახის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მეუღლისადმი ერთგულება?

გარეგნულად მართლაც ასე იყო — იქდა გაკრიალებულ აფთიაქში თეთრხალათიანი ლედი თავისი მიქსტურებით, აბებითა და ღრუბებით და ემსახურებოდა მუშტარს, საღამოს კი შინ მიდიოდა...

მხოლოდ ერთ საღამოს გადაუხვია გზიდან... არა, ისეთი არაფერი მომხდარა, ქალბატონი ნელი კვლავ შინ წვიდა, ოღონდ სხვა გზით — ქუჩაში გასულმა თვალი მოჰკრა თავის ყოფილ თანამშრომელს გივი ძამიაშვილს და მანქანაში მჯდომს ანიშნა, დაგეგმავრებოდა.

გივი ძამიაშვილმა ექვს თვეს იმუშავა 24-ე აფთიაქში, მძლოლი და ფარმაცევტი მხოლოდ ნაცნობებად დარჩნენ ერთმანეთისათვის, ახლა კი თბილისელმა ლედიმ მეტი მონიშნა — ჯერ გლდანის მასივში, შინ მიაყვანინა თავი უბრალო ნაცნობს, მერე კი მომხიბლავი ღიმილით ისიც სთხოვა, ხვალ ერთ რაიონში წამიყვანე...

არც გივი ძამიაშვილი გახლდათ მამა აბრამის ბატკანი, მაშინვე მიხვდა, რომ ეს მგზავრობა უფრო საქორწინო მოგზაურობას

დაემგვანებოდა და ყველა საქმე გვირდებოდა, სიამოვნებით დათანხმდა. აქი ასეც მოხდა... საქორწინო მოგზაურობას თავლობის თვე მოჰყვა...

მოლაღატე დედა და მეუღლე იმაზეც იოლად წავიდა, რომ სხვა, დროებითი ბუდე ეშოვა საყვარელთან სამრეშოდ. იქირავეს... მაგრამ რა? უნებურად ენაზე გადგება დედის სახელისათვის შეურაცხველი, დამამცირებელი და სამარცხვინო ტერმინი, რითაც ასეთ ოთახებსა და საკენებს ნათლავენ დანაშაულობათა სამყაროში...

თბილისელმა ლედიმ და მისმა თანამესაწოლემ ოთხჯერ შეიცვალეს დაქირავებული ოთახი, ალბათ კონსპირაციის მიზნით, მაგრამ მერე ისე გათამაშდნენ, რომ როცა ნელიმ 1985 წლის აგვისტოში შევბულება აიღო და ბინის რემონტი წამოიწყო, თავის მეუღლეს სიმონ ბიკაშვილს თანაშემწედ და დამხმარედ გივი ძამიაშვილი მიუჩინა...

16 აგვისტოს ბინა თითქმის გარემონტებული იყო, წვიმიანი საღამო იდგა და დამხმარე მუშები მალე წავიდნენ...

შუბი ხალათში არ დაიმალეზაო, უთქვამთ ძვე ეებს, მაგრამ ნელი ქალური ხრიკებითა და შემპარავი დიპლომატიით მინც ახერხებდა ერთ ჭერქვეშ მყოფი ქმრისა და საყვარლის მშვიდობიან თანაარსებობას.

ასეთი მშვიდობიანი უნდა ყოფილიყო 16 აგვისტოს ღამეც და ასეთივე უნდა გათე-

ნებულოცო მომდევნო ღამეც... ვაი, რომ არ გათენდა! დილაადრიან ნელი მილიციის განყოფილებაში მივიდა. წუხელ, თბილისში, ზე, ჩემს მეუღლეს ვილაცა საეჭვო პირებმა დაურეკეს, ჯვალის ტომარა და 50 მანეთი წაიღო, წავიდა და აქამდე შინ აღარ დაბრუნებულა, მიშვალეთ, თქვენი ქირიმი, დარდისაგან ლამის ჭკუაზე შევიშალოო.

სამძებრო სამსახურმა განგაში გამოაცხადა, ქვეყანას მოსდო მომხდარი ამბავი, მუშაკაცი ბინიდან გავიდა და უკვლოდ გაქრაო. დაიწყო ძებნა.

22 აგვისტოს ლილოში ივრის წყალში ჩაიკიდებულ ტომარას წააწყდნენ — ცელოფანის პარკში ნაწილებად აქნილი მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს...

მორგში მიწვეულმა თმაგაჩიჩილმა ჭირისუფალმა, მშუხარებისაგან სახეშემილიმა ქალბატონმა ნელიმ საკუთარი ქმარი ამოიკნო და მისმა შეცხადებამ იქაურობა შეძრა...


ძიებამ კი დაადგინა, რომ იმ ადგილით ღამეს თბილისელი ლედი მისი ქმრის მოსაკლავად ნაჯახით შეიარაღებულ გივი ძამიაშვილს ედგა მხარში, მერე კი, როცა თავგაბობილი სიმონ ბიკაშვილი ძირს დაეცა, მის ჯერ ისეც თბილ გვაშზე დააბიჯებდა და საყვარელს ქმრის ასო-ასო აქნაში ეხმარებოდა, ბოლოს ხერხი მოძებნა, რომ ძეალ-სახსრები გადაეხერხათ.

გივი ძამიაშვილმა ცელოფანის ტომარაში ჩაყარა სისხლიანი ნაყუწები, ტომარა ტყავის ჩანთაში ჩადო, ხელები დაიბანა და გზას გაუდგა. შინ დარჩენილი თბილისელა ლედი მაკბეტი გათენებამდე სისხლიანატყას წმენდა და დასკრილ ტანსაცმელს რეცხავდა, მერე „შინ“ დაბრუნებულ მკვლელს ცხელი წყალი დაახვედრა, აბანავა, სიმონის პერანგი ჩააცვა და შეცივებული ლოგინში გაათბო...

ინგლისელ ლედი მაკბეტს რომ ეს სცენა ენახა, ნამდვილად შეშურდებოდა თავისი თბილისელი ორეულის ქვეწარმავლური სიმშვიდე და მკვლელობის პროფესიული დონე, და თუ იგი ორი დღის შემდეგ შაიბში ჩაცმულ ქმარზე მგლოვიარე ნელის იხილავდა, შეიძლება შექანებულიყო კიდევ ჭკუიდან. ნელი კი არც შექანებულა და არც გადაქანებულა. უკვე საპატიმრო საკანში მყოფი სწერდა ძამიაშვილს, ყველაფერი შენ დაიბრალებ, ანგარიში გამიწვიე — მე ხომ ძამებში ვზივარ და ქმარს ვგლოვობ, შენც დაგკარგე და სასჯელად ესეც მეყოფათ... მაგრამ გივი ძამიაშვილს საკუთარი დანაშაულის სიმძიმე ეწეოდა ფსკერისკენ და არავის შველა არ შეეძლო — მართლმსაჯულებამ მას სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა შეუფარდა, ნელი კი 15 წლით გამოეთხოვა თავის აღვირახსნილ თავისუფლებას.

ღატოვა ორივემ დაქვრივებულ-დაობლებული ოჯახები და თან წაიღო შერცხვენილი, თავლაფდასხმული აღამიანების სახელი, წარუბოკელ ლაქად რომ ვაპყვება მათ შთამომავლობას.

ნახ. ბ. კებრიაშვილისა



უსიტყვოდ

ზუჯა

ო, ეს ქალები!

— წარმოიდგინე, მიხალმა ქორწინების მეორე დღეს ლატარიაში ორასი მანეთი მოიგო!

— საცოდავი! არასოდეს არაფერში ბედი არ ჰქონია!

—:—:—

— ვისია მაგსიგრძე წერილი?! — უკვირს ქმარს.

— ზოხიასი.

— რას გწერს ამდენს?

— ჩამოვალ და ყველაფერს დაწვრილებით მოგი-
ყვები!

—:—:—

— ბატონო პოლიციელო, როგორ მიხვდით. ბოროტმოქმედი რომ იყო, მას ხომ ქალის ტანსაც-
მელი ეცვა?

— არც ერთ ვიტრინასთან არ გაჩერებულა!

—:—:—

— მამიკო, რატომ იყო გამარჯვების ქალღმერთი
ქალი?

— ცოლს რომ შეირთავ, მაშინ გაიგებ!

—:—:—

ქალები ისეთი დასაქმებული არიან, დაბერების-
თვისაც ვერ იცლიან.

—:—:—

— რამდენი შესანიშნავი წიგნია, რომელთა წა-
კითხვის შემდეგ გავიწყდება, თუ სად ხარ! მხოლოდ
ასეთი წიგნების კითხვა უყვარს საკონსტრუქტორო
ბიუროს ლაბორანტ ლარისა კოზლოვას სამუშაოზე.

—:—:—

ახალდაქორწინებულმა ნეფე-პატარძალმა თამარ
და კირილე პოტაპოვებმა გადაწყვიტეს, თაფლობის
თვე იქ გაატარონ, სადაც დაიბადნენ: პატარძალი
გაემგზავრება იაკუტსკს, ხოლო ნეფე — კიშინიოვ-
ში.

—:—:—

დღეღამონა: გახჩობს — ესე იგი უყვარხარ!
ტატიანა ლარინა: თუ მაინცდამაინც უსიყვარუ-
ლოდ უნდა გათხოვდე, გენერალზე ნაკლებს არ
უნდა გაჰყვე!

„ლიტერატურაშია გაზეტა“


საკვამარგო ლექსიკონი



სარვამარტო ხაჩუქარი — უსიტყვო ქათინაური.
პრაქტიკოს-რომანტიკოსი — ვინც საქმროს ცოლის თვა-
ლებით უცქერის, ქმარს კი — საცოლისა.
„იდეალური“ ქმარი — ვინც ყველას და ყველაფერს ცო-
ლისა და სიღედრის თვალებით უცქერის.
პატივმოყვარეობა — ვინც ყველა მამაკაცში თაყვანისმცე-
მელს ეძიებს, ყველა ქალში — მოშურნეს.
მორჩილება — რასაც მაშინ იყენებენ, როცა წინააღმდე-
გობას აზრი არა აქვს.
შინაბერობა — შინ ნებივრობის შედეგი.
ალიკაბი — ავი ცოლის ან ქმრის უგნებელყოფის საშუა-
ლება.
გამოთაყვანება — იმ ქალის მდგომარეობა, რომელსაც
ბევრი ეთაყვანება.
გარეგნული სილამაზე — ზოგი ქალის დატყვევების, მიტ-
ყუების, გატყუების, შეტყუების, წაბყუების და მოტყუების
საშუალება.
თავხელი — რომელიც ყველგან და ყველაფერში საკუთარ
თავს ხედავს. საკუთარ თავში კი — არაფერს.
თვალსუქობანა — საბავშვო თამაში (გასათხოვარი ქა-
ლებიც მიმართავენ).
ბაზარი — რომანტიკოსი ქმრის გამოფხიზლების საშუა-
ლება.
კაფე-შანტანისტი — ვინც საბედოს ყავის ფინჯნის ფსკე-
რზე ეძებს და არა ცხოვრებაში.
თავაშვებული — ვინც თავის შვებულებას უცოლოდ ატა-
რებს (ეჭვიანი ცოლის აზრით).
ავხორცი — ვინც ვნებას ნებაზე მილთა აყენებს.
ვაი-სიღედრი — ვინც ერთდროულად ასრულებს მწვერა-
ვის, მღვრის, მსტვრის, მეურვის, ზღამხედველის, რევი-
ზორ-კონტროლიორის, ბრალმდებლის ფუნქციებს.
ყურადღება — რითაც გათხოვებამდე ანებივრებენ, მერე
ბორკავენ.
ყურადღებიათი ცოლი — ვინც თავის ქმარს ყველა ქალის
თვლით უცქერის, ყველა ქალს — თავისი ქმრის თვლით.
ცილისწამება — ცოლის წამება.
წუთიერი ბედნიერება — წამები, რომლებიც წამებად
იქცევა ხოლმე.

ალმანახორ თაბაძე

ნახ. ი. შაინაშვილისა



უსიტყვოდ



ქალაქბარათი აგარაკზე სარვამართოდ განიზნულს ვილაცამ მომაგნო: ტელეფონი ჭირვეული ბავშვივით ჩაბუიდა. როდის-როდის ავიღე ყურმილი.

— ლუტუ, გადმოდი ჩემთან, ცოტა გავერთოთ.

ფელიკო ვიცანი, ჩემი მეგობარი, ხელოვნებათმცოდნე და კარგი ბიჭი. აბა, მასთან მისვლას როგორ დავიწარებდი.

ორიოდე წუთის შემდეგ მიაი კოპწია სახლის პარმაღზე ვიდექი და თოვლით დაფიფქულ ტანსაცმელს ვიფერთხავდი.

ოთახში ფელიკოს გარდა ორი ბიჭი სხვაც დამხვდა. მალაქა, გამხდარს, გრძელთმიანსა და პიანისტივით გრძელთითებანს საოცრად ლამაზი თვალები ჰქონდა, ლიუდვიგი მქვიაო, გამეცნო. მეორე არც ისე დაბალი იყო, მაგრამ ლიუდვიგის გვერდით სანჩო პანსად მუჩანდა. ხელი ჩამოვართვი და ვიგრძენი — მეტიამეტად ნაზვანიანი და გულთბილი ბიჭი იყო. ლელიკო ერქვა, ორნავ ხვეული წაბლისფერი იმა აავუღდაგულოდ ჰქონდა გადავარცხნილი და სუნამონაკურები.

ფელიკომ დარბაზისაკენ გავეითავაზა გზა...

ფანჯრებს ფიფქებით მოხატული შრიალა ფარდები ეკიდა. იმიტირებულ ბუხარში ნაკვერჩხლები ღუღღუღებდა. საამოდ თბილოდა.

რბილი აავარძლების სახურგებზე ნებვრად მიუწეკით. მრგვალ მაგიდას ვუსხედით. ტილით მოწნულ ყელყარყარა სურებიდან არომატულ ლიქიორს ვასხამდით ჩიტისფეხა თლაშოებში და მცირე ყლუპებით ვაჭაშნიკებდით. შოკოლადი და ხილიც იყო სუფრასზე, მაგრამ მკრეხელობა იქნებოდა აქ რამის გაღეჭვა...

სტერეომუსიკის სამყაროში ვიყავით. კოპწია დარბაზის მოპირდაპირე კუთხეებიდან უნისონად უღრღნენ დინამიკები. ჩვენ სავარძლებში კი არა. ფუმფულა ღრუ-

ბლებში ვიწეკით და პლანეტარული ნისლის ჰამაყებში ვირწეოდით, მუსიკის ფრთებით მივექანებოდით დაუპყრობელი სივრცეებისაკენ. კონდიციურ ჰაერს ესუნთქავდით და ოთახის თბილ ბინდში ფრანგული სუნამოს ნაზავი ლაქვარდის შთაბეჭდილებას ვვიქმნიდა.

— იცანი? — ჩუჩრულით მკითხა ფელიკომ, როცა ერთი სიმფონია ჩათავდა.

— რომ მეკითხები კიდევ. — ვიუჟადრისე, — სტრავინსკია. ამ საბალეტო პანტომიმაზე რახანია ჭკუას ვკარგავ. — თვალები მომეცრემლა.

ვრიგის საფორტეპიანო სონატამ კვლავ მიგვარინდა. ფარფატა ალით იწვოდნენ თეთრი კელატრები, ჩვენი სულებიც მუსიკის ნელი ცეცხლით ინავლებოდნენ, ცრემლით იღვენთებოდნენ შანდლები...

ჰაიდნის პარიზული სიმფონია უღერდა... საამოდ გვეთნთავდა ნათელი, გულხალასი ლირიკის ჰაეროვანი ამბორი...

ანაზდად ზათქით გაიღო წინა ოთახის კარი. ნაბიჯების მქიაე ხმამ და პარკეტის ჭრიალმა ჩიტებივით დააფრთხო მუსიკალური ბგერები...

— პენელოპეა! — დაიკვნენაა ფელიკომ და პეშვით დაიჭირა გული.

ოთახში შინლიან-ჩექმიანებმა შემოაბოტეს, ბურძგლა ქუდები დაიფერთხეს მუხლებზე და ხელის აწევით მოგვესალმნენ.

— პიკონებს ვახლავარ სამი მუშეკეტრით! — მოგვესალმა პენელოპე და შინლის საყინძი დაუღვერად შეიხსნა.

პენელოპე ფელიკოს და იყო, კაინის გათხოვილი. მაგრამ ჯერ ისევე ლამაზი, ქმრისადმი ერთსული და ისეთი მიამიტი, რომ ორსულობისა არაფერი გაეგებოდა. ამის გამო შერაცხეს იგი პენელოპედ. ქმრისადმი ერთგულება ეცოტავებოდა, ორგულობას, სამგულობას,

ოთხგულობას და მეტსაც ახერხებდა.

ფელიკო მიეახლა, შინელი ჩამოართვა და საკიდი-საკენ წაიღო, ჩვენც მის მაგალითს მივბადეთ და სტუმრებს წარვუღექით.

პენელოპე სუფრასთან მივიდა, ჩიტისფეხა თლაშოებს დახედა და აიმრიზა.

— რა გასმევთ ამ სისამაგლეს, ფიპ! — სუფრას თვალი აარიდა, ოთახში მიმოატარა მხერა და მუსიკას წაენით დაუგდო ყური, — ვინ-ჩენცო ბელინია, არა? ხედავთ, გოგოებო, ბელკანტოტი ტკბებიან და აქვე სათითები უღგათ — ლიქიორით იშაქრებიან, — ჩიტისფეხება თლაშოები წამოკრიფა და ფელიკოს გასძახა: — ფელიქს! ახლავე სამი ხუთვარსკვლავიანი დამიადე, თორემ არ ვიცი, რას ჩავიდენ, — სავარძელში ჩაემვა და ფეხი ფეხზე შემოიღო.

გოგოებიც მოდგნენ სუფრასთან, ყომრალი ფერის ყელიანი სვიტერები ეცვათ. რაც უფრო ხაზს უსვამდა მათ ახოვანებას. სიგარეტისა და ასანთის კოლოფები დაყარეს მაგიდაზე, სავარძლებში მოეწყვენენ.

— ბალათერ, — დაღლილი ხმით მითხრა პენელოპემ, — წაღით შენ და ლევანი, ფელიქსს მიეხმარეთ, შენ კი ლიუდოედო, — მიუბრუნდა ლიუდვიგს, — ეს სისამაგლეები მოაშორე აქედან!

მე და ლელიკო სამხარეულოსკენ მივდიოდით, რომ კიდევ ერთხელ მოგვესამა პენელოპეს რიხიანი შეძახილი.

— მაირინ, მანდ სადღაც კარგი კააეტებიც მეგულენა... ჯაზ-როკი, ან ხარდროკი მონახე... მეორე კასეტაში ერთადაა ელტონ ჯონი და სუპერ-ჯგუფი, სულ ჭაჭებისაგანაა შემდგარი...

ჩვენ წინ და უკან დავჭროდით. მაგიდაზე ზედიზედ გაჩნდა კონიაკი, ორნახალი არაყი, ტყემალი, წიწკა, ჯონჯოლი, პრასი, შემწვარი ვარიები და გუღის ყველი.

ზუთხი, სათათურე, ჩიჩქელა და მშრალად მოხარული ბეჭი...

ისევე აუღერდა წამით გაყუჩებული მაგნიტოფონი, ჭაჭების წივილ-კვილმა იქაურობა შეძრა. კვამლით დატბორილ ბინდში პენელოპეა, მაირინის, ღუღუნახას და ხათუნაა ვეება ლანდენი ამოძრავდნენ... გადაკერეს და წამოდგნენ.

... ბრუნავს დედამიწა. დგება ინვერსია... ახლო მომავალში არ ჩანს სხვა ვერსია, — ჩხაოდა ხმაჩახლეჩილი გოგო და მია ხმას სხვადასხვა რეგისტრში იმეორებდა ჯაზ-ბანდი.

სამხარეულოდან გამოსულები მხარამხარ ვიდექით ბიჭები: ჩვენ ვიცოდით, რომ ინვერსია დედამიწის პოლუსების ცვლას — ქალთა ზეობის დაწყებას ნიშნავდა.

ლიუდვიგი და პენელოპე უკვე ცეკვავდნენ.

— ლიუდოედობა ქალია გულით უნდა დაიწყო, ჩემო მაკვარანცხო, მაშინ აღარ იქნები ასე გამხდარი, — ეფერებოდა დეზებიანი მუშეკეტერი ლიუდვიგს.

მე, ფელიკო და ლელიკო იმავე ადგილას ვიდექით, წინ ველარ წავდგით ფეხი.

„არ ჩანს სხვა ვერსია... არ ჩანს სხვა ვერსია“, — ჩხაოდა გოგო.

ტანშემართული სამი მუშეკეტერი უკვე მოდიოდა ჩვენკენ. შუალამ მე ამომარჩია. ეს მაირინი იყო, მოდიოდა და ვეება მკერდს მოაქანავებდა.


მუსიკა ქუხდა. საცეკვოდ მიწვევდა მაირინი, მაგრამ ეს უფრო ღუღელში გამოწვევაა ჰგავდა...

მე თვალები დავხუჭე და დაველოდე.

... არ ჩანს სხვა ვერსია... არ ჩანს სხვა ვერსია“, — ჩხაოდა გოგო.

თვალები მეხუჭა და ვგრძნობდი, როგორ ირყეოდა მიწა — პოლუსების ცვლა იწყებოდა.

ელგუჯა მერაზიოვილი



მაპატიეთ, გათხოვილი ბრძანდებით?



ფუჭი ცხოვრება

მითოლოგიურ აპოლონივით რომ გაუშლია მხარ-ბეჭი პლატონს — ხარბი გულის და ხარბი თვალების და ნიშა ხარის ძალ-ღონის პატრონს.—

რომ შეხედავენ, უმალ იტყვიან, არ დაკარგულა ქართული ჯიშის ათი ჯანმრთელი კაცის იერი, კაცის, რომელმაც არ იცის შიში!

შეებმებოდა ყამირებს მტკიცედ, არ დარჩებოდა არც ერთი ტევრი, ააშენებდა დაბა-ქალაქებს და ექნებოდა სათქმელი ბევრი!

სწორედ პლატონი, მთაკაცს რომ მოჰგავს და ეზარება განძრევა თითის, დაღამებამდე ჭიხურში დგას და ქალის საცვლებს და სუნამოს ყიდის...

ნანა იაზუღაშვილი

თბილისს ლაპაპა მოვიდა!..

თბილისს მოვიდა დეპეშა, — მეგრამ სამი დღით გვიანი, გარდიცვალაო ვარლამი, ამ საუკუნის ხნიანი.

— ჰოი, ნუ სტირით, შვილებო, თვალთ ცრემლი ნუ გდით ტიალი, ქელესში ფული შემოვა, თქვენ არ გეჩნებათ ზიანი!

ჰიშკართან სიას ჩამოწერს ვაჟყატი ორმეტრიანი, არ გამოტოვებს არავის, ყოჩაღია და ფხიანი. ხარჯს გაისტუმრებთ, თან ჯიბეც დაგრჩებათ ბარაქიანი და სამივე ძმა ჩამოხვალთ სოფლიდან „უიგულიანი“!

ნაირა ლეუგაშვილი



ქვიანი ცოლი არ ასმევს თავისსა ქმარსა ღვინოსა, ამბობს: — ღვინო და არაყი ამსგავსებს კაცს უტვინოსა.

ღვინო რად უნდა? არა სჯობს უყუროს სადმე კინოსა, მწვადი ჭამოს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოსა?!

ლხინი თუ უნდა, ლაღიძის ვაყინით მოილხინოსა, არაყს წვეთსაც არ ვაღირსებ, თუნდაც სულ გაიყინოსა.

სხვების მიბაძვა რას არგებს? იჭდეს და მოითმინოსა. ცოლ-შვილს მიხედოს, ოჯახურ საქმეებს შეერკინოსა! ალკოპოლით და არაყით გულ-ღვიძლი რად იტკინოსა?

ქმარი უსმენდა მეუღლეს, ვით ფილოსოფოს სპინოზას, ცოლი რისხავდა ქმრის ძმაკაცთ: — არავენ შემიცდინოსა, თუ უნდა ჩემი მექარა თავიდან აიცილოსა!

... ქმარი გონებას მოეგო, აღარ სვამს არაყს, ღვინოსა, ჯანიც მოეცა, მზად არის თუნდაც ღომს შეერკინოსა!

თ. წითელხეველი





— აჰა, გაიხარე, ამ სახლში კაციც მე ვარ და ქალიც!

მ მ ა ნ ს ი ჰ ა ც ი ა

ქალს რომ ჩეჭმა და შარვალი აცვია,
 ვითომ ეს არის ემანსიპაცია?!
 თუ ისა, ფულებს რომ შოულობს ჩეჩქადა,
 არაყს რომ წრუბავს და აბოლებს ეშხადა?
 იქნებ ის, ზოგი რომ ნახევრად კაცია?
 მე ვნახე მეზობლად, ქმარს სცემდა ფაცია,
 მუცელში წიხლი ჰქრა, ნიკაპში — ცაცია,
 დააგდო და მერე ყურებით ასწია.
 წავიდა ის დრო, წარსულს ჩაბარდა,
 კაცი რომ დედაკაცს კაცურად „აბამდა“.
 ქალები „ეიგულებს“ ხმარობენ ნაბადად,
 „ახვევენ“ ვაჟებს და, ჰაიდა, ხაბარდა!..
 დიაცის ფუნქცია არ იყო აღილი,
 ოჯახი, შვილები, სარეცხი, სადილი..
 უცვლელად ეკავა კუთვნილი ადგილი,
 მეუღლის ნამუსად ებურა მანდილი.
 მე მგონი, ქალებმა კაცების ჭინაზე
 დაკარგეს მთავარი — ქალური სინაზე,
 ქალური ეშხი, ქალური გრაცია
 და ზოგს ეს ჰგონია ემანსიპაცია!

ნიკოლოზ იოსებოძე

აჰა აგვაპი ჩვენი გავრდილი შვილისა

ეროვნული

— გახლავართ აჰა მდგომელნი ლამაზი ბიჭები მშობელნივე
 დეიდ-მამიდნიც გვახლავან ჩვენივე ჭირის მფლობელნი.
 შვილი გავზარდეთ ნებურად (არვის ეგონოს იგავი),
 ის ბატონობდა ოჯახში, ჩვენ მისი ყმანი ვიყავით.

როდესაც ჩვენი ოჯახი უშრომლად აშენდ-აყვავდა,
 იქვე მახლობელ სკოლაში ბიჭი მანქანით დაგვყავდა,
 იყო დრო, წასვლა სკოლაში ჭირივით ეზარებოდა,
 ექიმის ცნობა ხელთ გვეპყრა, — ჩვენ რალა
 გვენალვებოდა?!

ვხარობდით დედისერთათი და ხელს ვუწყობდით
 ყოველმხრივ,
 რომელ ნამცხვარსაც იტყოდა, იმას ვუცხობდით
 ყოველთვის.
 აღზარდო შვილი თამამად, — მშობელს სხვა რა მიზანი
 აქვს?
 ვფიცავ, ჩვენ იგი არასდროს პურზე არ გაგვიგზავნია!


ყოველთვის ძვირფასს ვაცემვდით, ძნელად საშოვარს,
 იშვიათს.
 ჩვენ ეს მიგვაჩნდა ყოველთვის მშობლის უდიდეს მისიად.
 არც გამომცდელი ტანჯავდა, ის სხვების შვილებს
 წურავდა,
 ჩვენი შვილი კი ლაღობდა და ზღვის ტალღებში ცურავდა.
 რალა თქმა უნდა, ვიწვალეთ, ბევრ დაბრკოლებას
 ვეჭიდეთ,
 ინსტიტუტშიაც მოვაწყვეთ, არ ჩამოგვირჩა ბეჭითებს,
 მაგრამ რა?! — სექტემბრიდანვე ბიჭმა დაიწყო გაცდენა,
 ვიცით, სირცხვილში ჩაგვავადებს — გარიცხვა აღარ
 ასცდება!

მინაწერი: ამ სტრიქონების წამკითხველნი
 ვიცი, იქნებთ ჩვენი გამკიცხველნი.
 რალა თქმა უნდა, მეთოდს არ გვიქვებთ
 (რამაც ეს გვიყო, ალბათ, გაგვიგებთ!).
 როგორ გაგამტყუნოთ, როცა იტყვიან:
 „ცუდად გაგიზრდიან ოჯახშიო!“
 სხვა დრო დაგვიღვა, ახლა საღა გვაქვს
 შვილის სანებივრო?! მორჩა, „ვისო“!

ლალი მარტაშვილი

ნახ. ბ. ზუგაშვილისა

212
 30.11
 87



უსიტყვოდ 5.8

გაგვიჩვენეთ ჩვენი რწმუნე!

(ლია ბარათი)

სალამი, ჩვენო ქალებო, განსაკუთრებით — ცოლებო!
(დღეს მამაკაცთა სწორრო და თითქმის ყველაფრით ტოლებო).
გთხოვთ წაიკითხოთ კაცების ეს სარეაქტიული უსტარო,
ოღონდ არ გაგვიანდეთ, მოგმართავთ თხოვნით, მუდარით!
ჩვენ არ ვამადლით არაფერს (და არც მხატვრულად ვაფორმებთ),
ყოველ წელს თქვენთვის ვყიდულობთ ქურქებს, „დვოიკებს“, „პლატფორმებს“.
არღვევებო ცოლისა აროდეს გვიზამს ზიანსა,
თქვენთვის ვშოულობთ ჭინის, შინელს და ჩექმებს დეზებიანსა.
სულ რომ ვტრანზახობთ კაცები, ვერ გამოვიგია, რით გჯობნით?
რეა მარტს თქვენ სახლში ქეიფობთ, ჩვენ ლიმონათში ვინჩრობით.
არც კომპლიმენტებს ვიშურებთ, არც ნაკვეთებს და არც ფრაზებს,
ზოგჯერ თქვენს მშობლებს რომ ვაქებთ, საკუთარს ვლანძღავთ, ვაბრაზებთ.
კამათში მუდამ თქვენ გითმენთ, უკან ვიბრუნებთ სიტყვას თქმულს,
თქვენ გეწყვივით, გეჩხუბებთ და ჩვენ მაინც გინსნით სიყვარულს.
კაცნი ვართ, ზოგჯერ დავლევთ და გვერევა აზრი, ვა-კვალნი,
ხელფასი მაინც უკლებლივ შინ მოგვაქვს ხელის კინკალით.
აუთუ ცოდონი არა ვართ საწყალი მამაკაცები?
აბა, დალიეთ ჩვენსავით ხუთქიანი ყანწებით!..
ოჯახსაც ვუვლით ქალივით, როცა თქვენ სახლში არა ხართ,
და თქვენს მაგიერად მეზობლებს ჩვენ ვეჩხუბებთ ხანდახან.
სახლიდან როცა გავდივართ, გულეში გვყავხართ ღმერთებდა,
თვალს ვხუჭავთ, როცა ქუჩაში ლამაზი ქალი შეგვხვდება.
სკოლაში შეილი რომ მიგვეყავს, ჩვენ ვართ იმათი თავმდები,
მასწავლებლებთან თქვენს ნაცვლად ჩვენ ვწითლდებით და ვშავდებით.
ჩვენი ძვირფასი შეილიყო თუა ურჩი და უბირო,
ღამრიგებელი რატომაც — მამაძალოო, — უყვირის.
თქვენი გულისთვის ვადავდებთ იქით მწვერვალს, აქით — მთებს,
ბავშვებს ვერ ვბადებთ, თორემ სხვას თქვენთვის ყველაფერს ვაკეთებთ.
ერთი თხოვნა გვაქვს, გვისმინეთ, მერე, თუ გინდათ გავეთათხეთ,
ქალთა დღის შემდეგ კაცებსაც ვადაგვიხადეთ კაცთა დღე!

ზანო ცინცაძე

არსენ ზოსიანი

(ბულგარეთი)



ყუარში ძეგუეთი

დაუფლებია ხიტროვს მხიარულება დიდი, ტრესტიდან მისი ცოლი მივლინებაში მიდის.
„ავკვები გულის წადილს, გავიცნობ ვინმე ასულს, კვლავ გავიხსენებ ტკბილი მარტოხელობის წარსულს. მუდამ ოჯახზე ზრუნვით სული ამომხდეს ლამის, დამიღვა სანეტარო თავისუფლების ქამი. სასიამოვნო გრძნობა ყრუანტელივით მივლის, მომხიბლავ ქალთა ერთად სამ დღეს თეატრში ვივლი. თეატრის ბილეთები საშოვნელია ძნელად, რიგშიც დგებიან, მაგრამ ბედი არ სწყალობს ყველას“. ორი ბილეთით ხელში სალაროს ახლოს დიდგა, მაგრამ ჭერ არვის აძლევს, თვალში არ მოსდის რადგან. ლამაზ ქალიშვილს უნდა დაუფოს ამით მახე; ჰოდა, შეავლო კიდეც მზერა მშვენიერ სახეს. ბილეთს ეძებდა ზედმეტს, მანაც უბოძა წამსვე და ლოყისაკენ დინჯად გასწია ლხინით სახვამ. ეგონა, სანუკვარი ოცნება უკვე ახდა, მაგრამ იქ მისი ნაცვლად ბებიაშისი დახვდა...
თარგმანა შ. აშირანაშვილმა

საპარტველო კვ ზესტაფონის რაიკომი:

„შუარნალ „ნიანგის“ მიერ გადმოგზავნილი საჩივრის პასუხად, რომელიც ეხებოდა ზესტაფონის ხორცკომბინატში პირუტყვის ჩაბარების დროს წონაში მოტყუების ფაქტს, გაეცნობებთ შემდეგს: 1986 წლის 30 სექტემბერს ზესტაფონის ხორცკომბინატში მაიაოვსკის რაიონის დამზადების გაერთიანების დამამზადებელ კ. კიკნაველიძის მიერ ჩაბარებულ იქნა 5 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, საიდანაც ერთი სული ეკუთვნოდა მოქ. ა. ჯონაძეს.
ზესტაფონის ხორცკომბინატში პირუტყვის მიღება მომხდარია პირუტყვის სახელმწიფო შესყიდვის ინსტრუქციის დაცვით და მისი ჩაბარების დროს დამამზადებელ კ. კიკნაველიძეს არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია.
პირუტყვის არასწორად მიღების საქმეში ბრალი მიუძღვის მაიაოვსკის რაიკომპარტიის დამამზადების გაერთიანების მუშაკს კ. კიკნაველიძეს და არა ზესტაფონის ხორცკომბინატის მუშაკებს.
დამამზადებელმა კ. კიკნაველიძემ მოქ. ა. ჯონაძისგან პირუტყვის მიღებისას დაუშვა შეცდომა, რის გამოც მიღებულ და ჩაბარებულ წონას შორის გამოვიდნა სხვაობა და მისი ჩაბარებით მოქ. ა. ჯონაძემ მიიღო 38 მანეთით ნაკლები თანხა.
ამ დარღვევისათვის დამამზადებელი კ.

კიკნაველიძე მაიაოვსკის რაიკომპარტიის დამამზადების გაერთიანების 1986 წლის 23 ნოემბრის ბრძანებით განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. მასვე დაევალა მოქ. ა. ჯონაძის სასარგებლოდ 38 მანეთის გადახდა“.

საპარტველოს კვ ხაშურის რაიკომი:

„თქვენს მიერ გადმოგზავნილი წერილის საფუძველზე კომისიური წესით შესწავლილ იქნა ხელმოწერილ წერილში დასახელებულ ფაქტები, კერძოდ, ხაშურის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მეკრავეების საჩივარი შრომის დაბალი ანაზღაურებისა და მუშაობის პროგრესულ ფორმაზე — ბრიგადულ მეთოდზე გადაყვანის შესახებ.
კომბინატში 1983 წლიდან ჩამოყალიბებულია 6 სპეციალიზებული და ერთი კომპლექსური ბრიგადა. ბრიგადის წევრების შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის მიხედვით. სამკერვალო საამქროს მეკრავეთა გაერთიანებულ არიან სპეციალიზებულ ბრიგადაში. 1986 წლის 10 თვეში მათი საშუალო თვიური ხელფასი შეადგინდა 135 მანეთს და 30 კაპიკს, ხოლო დამკვეთ-შემფუთველების და გადაამბრუნებლებისა — 181, 155 და 201 მანეთს.
მეკრავეების საშუალო ხელფასის სიმცირე გამოწვეულია საქართველოს სსრ ადგილობ-

„ნიანგს“ შეასუხებენ

რავი მრეწველობის სამინისტროს საკვლევე-სანორმატივო განყოფილების მიერ დამტკიცებული მოძველებული ნორმებით, რომელთა განახლებას არც ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი და არც შესაბამისი შემდგომი ორგანო სათანადო ყურადღებას არ უთმობს.
კომბინატში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მატერიალური დაინტერესების მიზნით გათვალისწინებულია 1987 წლის I კვარტალში მეკრავეებთან სხვადასხვა პროფესიის მუშების გაერთიანების ბაზაზე კომპლექსური ბრიგადის ჩამოყალიბება და მეკრავეებისათვის პრემიის გადიდება 15-დან 20 პროცენტამდე, რაც ხელს შეუწყობს მეკრავეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგებას“.



უსიტყვოდ

მამაკაცებო, გაუფრთხილდით ქალებს!

კითხვა: რა დამოკიდებულება გაქვთ ქალებთან?
პასუხი: მათზე სულ არ ვარ დამოკიდებული, მე კაცნი ვარ!

კითხვა: რას ეტყობით ქალებს მათი დღესასწაულის წინა-
დღეს?

პასუხი: მიწა, ყველას მივულოცო და ვუსურვო, ახსოვდეთ,
რომ დღეს ქალი არამარტო მებოგარია კაცისა, არამედ მისი ამხა-
ნაბი და ქმაც არის!

კითხვა: საყოველთაოდ ცნობილია ქალების წარმატებები.
როგორ დარგვია ის უფრო უთამბაჯღავი?

პასუხი: ყველა დარგვი, დაწყებული ბატოსკიდან, დამთავრე-
ბული კამბატკით.

კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს ქალს კაცის ცნობრებაში?

პასუხი: ქალი მოყოლებულია, ითამაშოს მის ცნობრებაში
ესა თუ ის როლი. გუნებრივია, ქალი ამჯობინებს ითამაშოს მხო-
ლოდ მთავარი როლები, კაცს კი ეპიკოლოდურებს უტოლებს.

კითხვა: ბოდიშს ვიხდი ამ კითხვისათვის: ცოლს ხშირად ეჩ-
ხუბებო?

პასუხი: რას ამბობთ?! არასოდეს! სამაგიეროდ ყოველ სალა-
მოს უვებრებდებით ხოლმე!

კითხვა: თქვენი აზრით, ვინ უნდა იყოს ოჯახის უფროსი?

პასუხი: მამაკაცი, ხოლო მისი ხელფასის ალების დღეებში —
ცოლი.

კითხვა: რას იტყვით მამაკაცებს ქალთა დღესასწაულთან და-
კავშირებით?

პასუხი: მამაკაცებო, გაუფრთხილდით ქალებს — ეს თქვენი
გარემოა!

ევენი საჯონოვი
(„ლიბერატორანია გაზეთი“)



საბჭოთა და იუვენიკის
ურნალი „ნიანგი“ № 5
(1735), მარტი, გამო-
დის 1923 წლის იენიიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლგაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
გაბუა ამირეჯიბი, ნოზალი
ბარათია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭემალ
ლოლა, ნოდარ მაღალაშვილი
(მხატვარ - რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია, ბე-
უან სიხარულიძე, (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ქანხულ ჩარკვიანი, თამაზ
წიფიშვილი, ნათე ჭუხუიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად
2. 02. 87 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 9. 03.
87 წ. ქალაქის ზომა
60X90/8, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5, სააღ-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9, საქართველოს
კ. ც. -ის გამომცემლობა,
ლენინის 14, შეკვ. 316.
შე 04844, ტირაჟი 144.000.
ურნალი გამოდის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუხთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგებების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან-მეგან ქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаватель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137